საქართველოს მთიანეთის ნებაყოფლობითი საქველმოქმედო ასოციაცია
Добровольная благотворительная Ассоциациа Горной Грузии
Georgian mountaineers voluntary sharity Association
380071 თბილისი, ბალანჩივაძის ქ. კორპ. 5
Тбилиси, ул. Баланчивадзе корп. 5
Tbilisi, st. Balanchivadze
Tel: 29-46-51

"30" 10 2015

№ 2

## საქართველოს იუსტიციის მინისტრს

## ქალბატონ თეა წულუკიანს

საქართველოს მთიელთა ნებაყოფლობითი საქველმოქმედო ასოციაცია, საქართველოს მთავარი პროკურორის კანდიდატად გიდგენთ ქალბატონ ლენა კაპანაძეს, (დაბადებულს 1962 წელს ხაშურის რაიონში, მაჟამად ცხოვრობს თბილისში, დოლიძის ქ. კორ. 25/81). რომელსაც დამთავრებული აქვს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი.

ქალ. ლ. კაპანაძე 1983 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში. იყო ხაშურის, კასპის, ქ. თბილისის დიდუბისა და გლდანი - ნაძალადევის რაიონების პროკურორი. 2005 წლიდან დღემდე მუშაობას აგრძელებს ადვოკატურის სისტემაში. ქალ. ლ. კაპანაძე მაღალკვალიფიციური სპეციალისტია. გამოირჩევა პატიოსნებითა და პრინციპულობით, აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დიდი უნარი, ასევე თეორიული და პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება. ჩაბარებული აქვს მოსამართლეობისა და ადვოკატობის სახელმწიფო გამოცდები.მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო - ჯილდო ღირსების ორდენი და სხვა. მისი საქმიანობა მრავალჯერ იქნა განზოგადებული. აქტიურად მონაწილეობდა მთისა და ბარის მოსახლეობის საქველმოქმედო საქმიანობაში-იურიდიული კონსულტაციებისა და სხვა სახით. მთიელთა ასოციაცია მას იცნობს სტუდენტობიდან ვინაიდან იყო ასოციაციის წევრების სტუდენტი. სტუდენტობის წლებშიც გამოირჩეოდა სანიმუშო ყოფაქცევითა და წარჩინებული სწავლით.

იმედია გაითვალისწინებთ აღნიშნულ მონაცემებს და პარლამენტს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე წარუდგენთ ქალბატონ ლენა კაპანაძის კანდიდატურას რაზედაც წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით ასოციაციის თავმჯდომარე
ეკ.მეც.დოქტორი,პროფესორი /გ. ჭინჭარაული/

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)
03 11 2015
№ 01/18503